ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო შ ე ფ ა ს ე ბ ა

ქალაქ თბილისში, ს/კ: 01.19.18.003.158 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , მექანიკური ქარხნის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ.

საკადასტრო კოდი: ს/კ 01.19.18.003.158

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: საწყობი

ექსპერტი: დავითი სორდია

არქიტექტორი: მარიამი ბარბაქაძე

2024 წ.

შენიშვნა დასკვნის თაობაზე:

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად. ნებისმიერი სახის ცვლილება რომელიც არ არის შეთანხმებული ექსპერტთან, ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურულ პროექტში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.
- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- საექსპერტო დასკვნა მოიცავს მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაციის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას.

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში , მექანიკური ქარხნის მიმდებარედ, ს.კ 01.19.18.003.158 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.
- საპროექტო ტერიტორიას საზოგადოებრივი სივრცე ესაზღვრება აღმოსავლეთითა და დასავლეთით არსებული გზის მხრიდან, ხოლო დანარჩენ არეალებში მომიჯნავე მიწის ნაკვეთები.
- საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია 1 (ერთ) სართულიანი მეტალის შემნახველი საწყობის შენობის (1 მიწის დონის ზედა სართულით) მშენებლობა, რომლის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 15.70 მეტრს
- საპროექტო შენობა მისაწვდომია შშმ პირთათვის.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2: --- ვინაიდან 0.00 ნიშნულზე სრულად იგეგმება მეტალის შემნახველი საწყობის მოწყობა, აღნიშნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ სწ-2 ჯგუფს განეკუთვნება სხვადასხვა ლითონების შემნახველი საწყობები.

დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები: -- საპროექტო ფართისათვის მინიჭებული მაჩვენებლი განისაზღვრება 1004.1.2 ქვეთავის შესაბამისად. ---- საწყობები = 46,5 (მთლიანი).

- ზემოაღნიშნული ფაქტორის მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). ვინაიდან საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობის გარე კედლების შიგა პერიმეტრის საზღვრებში მოქცეული იატაკის ფართობი ტოლია 5957.00 კვ.მ-ის. შესაბამისად დაკავებულობა ტოლია 128.1.

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- პროექტით გათვალისწინებულია 1 სართულიანი (მიწის დონის ზედა სართულით) შენობის მშენებლობა.
- შენობის სიმაღლე დადგენილია მიწის დონიდან შენობის მაქსიმალურ კონსტრუქციულ სიმაღლემდე, რომელიც შეადგენს 15.70 მეტრს.
- შენობაში გათვალისწინებულია სწ-2 დაკავებულობა.
- ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, საპროექტო შენობა, მისი კონსტრუქცის ტიპის (I–B) მიხედვით, სიმაღლით, სართულიანობით და ფართობით აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს. აღნიშნული უფრო დეტალური სახით იხილეთ შესაბამის ცხრილში:

კონსტრუქციული ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპი (I-B), შენობის სიმაღლის, სართულიანობის და დაკავებულობის თითოეული ჯგუფის ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული.
- I ტიპის კონსტრუქციებში შენობის ელემენტები არაწვადი მასალების უნდა იყოს.
- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი უნდა განისაზღვროს 601-ე ცხრილის შესაბამისად, შემდეგი სახით:

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 2 სთ.
გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2 სთ.

იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2 სთ.
სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2 სთ.
(ვინაიდან შენობას არ აქვს პარაპეტი, 705.11 პუნქტის მე-3 გამონაკლისის შესაბამისად სავალდებულოა სახურავის ცეცხლმედეგობა განისაზღვროს 2სთ-იანი მაჩვენებლით);

- შეეხება შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, შეესაბამება 602-ე ცხრილის მოთხოვნებს.

„14 – 22“ ღერძებში ---------- 1 სთ.
„G – A4“ ღერძებში ---------- 1 სთ.
„1 – 14“ ღერძებში ---------- 0 სთ.
„C – G“ ღერძებში ---------- 1 სთ
„A – C“ ღერძებში ---------- 0 სთ.
„22 – 1“ ღერძებში ---------- 1 სთ.
„A4 – A“ ღერძებში ---------- 0 სთ.

შენიშვნა: პროექტით შენობის გარე კედლების ყველა ნაწილში გათვალსიწინებულია 1სთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით:

- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს:

„A-C” ღერძებში ----------შეუზღუდავი --------- პროექტით გათვალისწინებულია 12%
A4 – A“ ღერძებში----------შეუზღუდავი ---------- პროექტით გათვალისწინებულია 6%
„1 – 14“ ღერძებში ----------შეუზღუდავი --------- პროექტით გათვალისწინებულია 12%
„14 – 22“ ღერძებში -------- დასაშვებია 15%. ------ პროექტით გათვალისწინებულია 4%
„G – A4“ ღერძებში -------- დასაშვებია 15%. ------ პროექტით გათვალისწინებულია 5%
„C – G“ ღერძებში ---------- დასაშვებია 70%. ------ პროექტით გათვალისწინებულია 5%
„22 – 1“ ღერძებში --------- დასაშვებია 70%. ------ პროექტით გათვალისწინებულია 5%

გასასვლელი საშუალებების შეფასება

- 1021 და 1015 ქვეთავების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საპროექტო საწყობი სართულიანობის, გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილისა და დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, შენობაში მოწყობილი

გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს და აღემატება კიდეც მინიმალურ რაოდენობას. შენობაში მოწყობილია თერთმეტი გასასვლელი გზა-კარი.

- 1015.2.1 ქვეთავის შესაბამისად, ზემოაღნიშნული გასასვლელებიდან მინიმუმ ორ გასასვლელ გზა-კარს შორის დაცულია საპროექტო ფართის დიაგონალის ნახევარზე მეტი მანძილი
- გარე გასასვლელის გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1005.3.1 პუნქტის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით.
- წარმოდგენილი პროექტის მიხედით, გზა-კიბეების სიგანე აკმაყოფილებს 1009.4 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 პუნქტის მოთხოვნებს.
- გზა-კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012-ე ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, თითოეულ სართულზე აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს.
- დაცულია კარის სუფთა სიგანე, კერძოდ ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს, როგორც 1005.3.2 და 1008.1.1 ქვეთავებით განსაზღვრულ მაჩვენებელს, კერძოდ პროექტით გათვალსიწინებული გზა-კარების სუფთა სიგანე აღემატება 0.82 მ-ს.
- ყველა გასასვლელ კართან 1011.1 და 1011.4 ქვეთავიებს შესაბამისად გათვალისიწნებულია გასასვლელის ნიშანის მოწყობა.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

- **ავტოსაშხეფი სისტემა** - 903-ე ქვეთავის შესაბამისად, სწ-2 ჯგუფის სასაწყობე ფართობებს არ მოეთხოვება ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვა.
- **სახანძრო მილდგარების სისტემა** - ვინაიდან საპროექტო შენობა ერთსართულიანია, ხოლო სართულის იატაკის დონე სახანძრო მისადგომის ყველაზე დაბალი დონიდან 9.0 მეტრზე დაბლაა 905.3.1 ქვეთავის შესაბამისად შენობაში სახანძრო მილდგარების მოწყობის აუცილებლობა არ არის.
- **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:** - შენობაში გათვალისწინებულია ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა 907.2.15 ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე. შენობაში გათვალისწინებულია კვამლაღმომჩენები 907.4.1 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად. 907.5.2 ქვეთავის გათვალსიწინებით შენობაში გათვალსიწინებულია განგაშის შეტყობინების მოწყობილობები, ხოლო 907.5.2.3.1 პუნქტის შესაბამისად მოწყობილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები. ქვეთავის შესაბამისად, გასასვლელ კარებთან განთავსებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები.

- **ხელის ცეცხლმაქრები:** - შენობაში განთავსებულია ხელის ცეცხლმაქრები, 906-ე ქვეთავის შესაბამისად.

სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა - ნაგებობასთან მისასვლელი გზების შეფასება.

- 915.3 ქვეთავის შესაბამისად, შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე განსაზღვრულია
- სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზის ყველაზე დაბალი დონიდან და არ აღემატება 10 მეტრს.
- 915.4 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნის შესაბამისად, ვინაიდან საპროექტო შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 10 მეტრს არ აღემატება, სავალდებულოა ქონდეს არანაკლებ 3.5 მეტრის სიგანის სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა. პროექტით დაკმაყოფილებულია აღნიშნული მოთხოვნა.
- 915.7 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, ვინაიდან შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე 10 მეტრს არ აღემატება, სახანძრო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა მიდის მთავარ შესასვლელ კარამდე არაუმეტეს 15 მეტრის დაშორებით ისე, რომ შენობის პირველი სართულის გარე კედლის ნებისმიერი ნაწილი განთავსებულია სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზიდან არაუმეტეს 45 მეტრის მანძილზე.
- 915.16 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, სახანძრო ტექნიკის დგომის ადგილის დახრა არ აღემატება 10%-ს.
- 915.23 ქვეთავის მოტხოვნის შესაბამისად არქიტექტურული პროექტის მიხედვით, სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზის ბოლოში, ჩიხურ ნაწილში მოწყობილია 15 მეტრის დიამეტრის მქონე მოსატრიალებელი მოედანი.
- 915.25 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, არქიტექტურული პროექტის მიხედვით, სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზები არ არის ჩახერგილი ავტოსადგომი სივრცეებით.

შიგა გარემო:

- შენობაში 1203.4 ქვეთავის შესაბამისად გათვალსიწინებულია ბუნებრივი განიავება, კერძოდ: ღიობების სამართავი მექანიზმი არის ადვილად მისადგომი იმისათვის, რომ შენობაში მყოფთ შეეძლოთ ღიობების ადვილად მართვა. ასევე გარე გასაღები ღიობის მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აკმაყოფილებს და აღემატება კიდეც გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%, რაც შეესაბამება 1203.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ამასთან 1203.4.2.1 ქვეთავის შესაბამისად შენობაში გათვალისწინებული ტუალეტების განიავება ხდება მექანიკურად.
- 1208.2 ქვეთავის შესაბამისად დაკავებული სივრცის სიმაღლე არ არის 2.30 მეტრზე ნაკლები.

სახურავის ანაწყობებებისა და გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, გარე კედლებისა და სახურავის მასალად გამოყენებულია სენდვიჩპანელები, რომელთან მიმართებაშიც მშენებლობის დროს სავალდებულოა გათვალსიწინებულ და დაცულ იქნას წესების 1407 ქვეთავის მოთხოვნები.
- შენობას არ გააჩნია პარაპეტი, რაც დასაშვებია 705.11 პუნქტის მე-3 გამონაკლისით.

წყალსადენი სისტემების შეფასება:

- შენობაში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემების რაოდენობა სწორად არის განსაზღვრული და მათი რაოდენობა აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ს/კ: 01.19.18.003.158 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად“.

თარიღი: 17.02.2024

ექსპერტი: ----------

გაფრთხილება

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან) და სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
3. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის
- მოთხოვნათა შესაბამისად;
- სახანძრო განგაშის სისტემები;
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები).

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო შ ე ფ ა ს ე ბ ა

ქალაქ თბილისში, ს/კ: 01.19.18.003.158 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , მექანიკური ქარხნის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ

საკადასტრო კოდი: ს/კ 01.19.18.003.158

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: საწყობი

ექსპერტი: დავითი სორდია

არქიტექტორი: მარიამ ბარბაქაძე

2024 წ.

შენიშვნა დასკვნის თაობაზე:

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად. როგორც არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესსა და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილებები, რომელიც არ არის შეთანხმებული ექსპერტთან, ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურულ პროექტში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

შენიშვნა: შენობაში მისაწვდომი სივრცეების როგორც რაოდენობა და სჭიროება რეგულირდება საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე.

- საპროექტო შენობა მისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც შეესაბამება 1103.1 პუნქტის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.
- 1104 ქვეთავის შესაბამისად მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე.
- მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა საერთო გამოყენების ბილიკს, რაც შეესაბამება 1104.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.
- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ტუალეტის ოთახები მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1109.2 პუნქტის მოთხოვნას, ასევე 1110.1 ქვეთავის შესაბამისად მისაწვდომ ტუალეტთან განთავსებულია შესაბამისი მისაწვდომობის სიმბოლო.
- 1007.1 ქვეთავის შესაბამისად შენობაში გათვალსიწნებულია შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები.

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში , მექანიკური ქარხნის მიმდებარედ, ს.კ 01.19.18.003.158 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო ტერიტორიას საზოგადოებრივი სივრცე ესაზღვრება აღმოსავლეთითა და დასავლეთით არსებული გზის მხრიდან, ხოლო დანარჩენ არეალებში მომიჯნავე მიწის ნაკვეთები.

საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია 1 (ერთ) სართულიანი ლითონის მასალების სასაწყობე შენობის (1 მიწის დონის ზედა სართულით) მშენებლობა, რომლის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 15.70 მეტრს

საპროექტო შენობა მისაწვდომია შშმ პირთათვის.

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს.

<u>მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი.
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება,რითიც დაცულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმის საზღვრებში. ყოველივე აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

წყალსადენის სისტემები და მოწყობილობები:

- შენობაში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603, 604 და 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
- ტუალეტის ოთახში უზრუნველყოფილია T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.
- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606.3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

მისაწვდომობის ნიშნების მოწყობა და ადგილმდებარეობა:

- ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომ ტუალეტის ოთახთან (ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს).

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.
- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.
- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.
- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.
- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს. - სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.
- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ს/კ 01.19.19.001.506 რეგისტრირებულ მიწის ნკავეთზე დაპროექტებული საწყობის არქიტექტურული პროექტის მისაწვდმის პრექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2020 წის 4 დეკემბრის N732-ე დადგენილების მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

თარიღი: 15.02.2024

ექსპერტი: ----------